

პროგრამის კონცეფცია - „ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობა“

„ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში 2019 წელს საქართველოს 100-ზე მეტ (ხოლო ეტაპობრივად 2023 წლამდე საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში) დაინერგება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები (აქტიური სწავლა-სწავლება, ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, სწავლის სწავლა, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება, აქცენტი გააზრებაზე და არა დამახსოვრებაზე), მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასება და თანამშრომლობასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გუნდური მუშაობის პრაქტიკა. პროგრამის მიზანია ახალი, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობა.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა 2018 წელს დაიწყო. დანერგვის ძირითადი ინსტრუმენტები იყო გრიფირებული სახელმძღვანელოები, გზამკვლევები და ცენტრალიზებული ტრენინგები. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში ძირითადი აქცენტი გადადის სკოლაში მიმდინარე პროცესების მხარდაჭერაზე.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა 2014-2016 წლებში შემუშავდა სახელმწიფო პრიორიტეტების, ფართო საზოგადოების ინტერესებისა და ექსპერტთა წრეების მოსაზრებების გათვალისწინებით. რევიზიის პროცესში ჩართულნი იყვნენ სკოლის პედაგოგები, სამეცნიერო და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ფსიქოლოგები და განათლების სპეციალისტები, უფროსკლასელები და სხვ.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებული ყველა ცვლილება სამ ძირითადი ამოცანას ემსახურებოდა:

ა) **სწავლა-სწავლების პროცესში გრძელვადიანი მიზნების როლის გაზრდა** - სწავლა-სწავლების პროცესში გრძელვადიანი მიზნების მნიშვნელობის გამოსაკვეთად მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ყოველწლიური მოკლევადიანი მიზნები (შედეგები და ინდიკატორები) ჩაანაცვლა საფეხურებრივმა გრძელვადიანმა მიზნებმა (IV, VI, IX კლასების ბოლოს მისაღწევი

შედეგებმა). ახალი სასწავლო გეგმით მასწავლებელი საფეხურის განმავლობაში ათიოდე მიზნობრივი ორიენტირით ხელმძღვანელობს მაშინ, როცა წინა თაობის სასწავლო გეგმის მიხედვით მასწავლებელს საფეხურის განმავლობაში თითოეულ საგანში საშუალოდ 150-მდე მოკლევადიანი მიზნით (შედეგებითა და ინდიკატორებით) უწევდა ოპერირება.

მესამე თაობის (2018-2024 წლების) ეროვნულ სასწავლო გეგმაში მკაფიოდ გამოიკვეთა საფეხურის შედეგების როლი ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან მიმართებით. კერძოდ:

1. განახლებულ ეროვნულ სასწავლო გეგმაში შემუშავებული მისია და მიზნები განსაზღვრავს იმ ზოგად უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში აღწერილი მოქალაქის ფორმირებისთვისაა საჭირო;
2. ჩამოყალიბდა მიზნების მკაფიო იერარქია, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ გამომდინარეობს ყველა საგნის საფეხურის შედეგები ეროვნული სასწავლო გეგმის მისიასა და მიზნებიდან.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები - ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები



საგნობრივი ჯგუფის მიზნები



საფეხურის მიზნები და შედეგები საგნების მიხედვით

ბ) სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულ, კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნება - მოსწავლეთა მყარი, გააზრებული და დინამიკური ცოდნით შეაიარაღების ხელშესაწყობად მესამე თაობის სასწავლო გეგმაში სავალდებულოდ განისაზღვრა კონსტრუქტივისტული პარადიგმის ხუთი საგანმანათლებლო პრინციპი. წინა თაობის სასწავლო გეგმებში ეს პრინციპები თანმიმდევრულად არ იყო ჩამოყალიბებული, რაც დანერგვის პროცესში გაუგებრობებს იწვევდა.

ამასთან, ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილ იქნა მთელი რიგი მეთოდოლოგიური შინაარსის ცვლილებები, რომლებიც ცოდნის გააზრებულად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს, კერძოდ:

1. სავალდებულო გახდა ყველა საგნის კურიკულუმის აგება ისეთი თემების გამოყენებით, რომლებიც მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებს წარმოადგენს;
2. სასწავლო თემის სწავლა-სწავლების დასაგეგმად შემუშავდა დიზაინი, რომლის აუცილებელი კომპონენტებია: ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო შეკითხვები და კომპლექსური დავალებები.

გ) სკოლების ავტონომიურობის ხარისხის გაზრდა - სკოლებისთვის მეტი ინიციატივისა და შემოქმედებითი თავისუფლების მისაცემად მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოიკვეთა **სასკოლო კურიკულუმების მნიშვნელობა**. საამისოდ, ეროვნული სასწავლო გეგმა ორ ნაწილად გაიყო: **საფეხურის სტანდარტები**, რომლებიც წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნებს საქართველოს ყველა სკოლისთვის და **წლიური პროგრამები**, რომლებიც რეკომენდაციებს იძლევა სასკოლო კურიკულუმების განვითარებისთვის.

თუკი საფეხურის სტანდარტები აჩვენებს კონკრეტული სასკოლო საფეხურის დასრულების შემდეგ რა უნდა იცოდეს, რა უნდა შეეძლოს, რა ღირებულებები უნდა ჩამოუყალიბდეს მოწავლეებს, სასკოლო კურიკულუმი ასახავს, თუ რას აკეთებს თითოეული სკოლა ამ მიზნებისა და შედეგების მისაღწევად.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტები წარმოადგენს სკოლებისთვის გეზის მიმცემ ზოგად ჩარჩოს, ეროვნულ საგანმანათლებლო მეგაპროექტს, რომლის განხორციელების იმდენი გზა არსებობს, რამდენი სკოლაცაა კონკრეტულ საგანმანათლებლო სისტემაში. შესაბამისად, ყველა სკოლა მოწოდებულია საკუთარი პრიორიტეტების, მოსწავლეთა საჭიროებების, ადგილობრივი სასკოლო თემის მოლოდინების, სკოლასა თუ ადგილობრივად ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმი, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული კურიკულუმის, მისი ხედვისა და ფილოსოფიის კონკრეტული სკოლის კონტექსტში დანერგვას.

„ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის“ პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს თითოეულ სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობას, ხორციელდება „ახალი სკოლის მოდელის“ ქვეპროგრამაზე დაყრდნობით.

ახალი სკოლის მოდელი

მოკლე აღწერა

ხედვა

ქვეპროგრამა „ახალი სკოლის მოდელი“ მისიაა სკოლებში პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც უკლებლივ ყველა მოზარდს მისცემს საკუთარი პოტენციალის რეალიზების საშუალებას და შეაიარაღებს XXI საუკუნის გამოწვევათა მისაღებად საჭირო ცოდნით.

ამ მისიის განხორციელება მოითხოვს პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო ხედვის შესაბამისი ცვლილებების შეტანას ზოგადი განათლების მართვის მექანიზმებში, სასკოლო კულტურასა და სასკოლო კურიკულუმებში.

ზოგადი განათლების მართვის მექანიზმები

პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო ხედვა წარმატებული სწავლა-სწავლების პროცესის მამოძრავებელ ძალად შინაგან მოტივაციას მიიჩნევს. შინაგანი მოტივაციის სიმძლიერეზე კი ზეგავლენას ახდენს თვითრწმენისა და მაღალი თვითეფექტიანობის გაცდა. აქედან გამომდინარე, დასჯა-წახალისების მექანიზმების ნაცვლად, ქვეპროგრამა ითვალისწინებს სკოლაში მიმდინარე პროცესების მხარდაჭერასა და კონსტრუქციული თანამშრომლობითი კავშირების, ანუ სოციალური კაპიტალის გაძლიერებას.

ემოციურად უსაფრთხო გარემო, გუნდური მუშაობა და ყოველდღიური თანადგომა საშუალებას მისცემს მასწავლებლებს, საკუთარ თავში იპოვონ რესურსი სასწავლო საქმიანობის გასაუმჯობესებლად, მოსწავლეთა ინტელექტუალური ძალების გაშლა-განვითარების ხელშესაწყობად და უკეთესი შედეგების მისაღწევად.

ცვლილებები სასკოლო კულტურაში

ორგანიზაციის წინსვლისა და განვითარების უზრუნველსაყოფად სკოლაში დამკვიდრდება კონსტრუქციული თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის კულტურა; შეიქმნება პირობები მოსწავლეთა მიღწევების გასაუმჯობესებლად; ყველას გაუჩნდება განცდა, რომ შეუძლია საკუთარ საქმეში წინსვლა-დახელოვნება და სკოლის განვითარებაში განუმეორებელი წვლილის შეტანა.

საერთო ინტერესებითა და ღირებულებებით გაერთიანებული სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი უშუალო მონაწილეობას მიიღებს სკოლის კეთილდღეობის შექმნაში. რეფორმირებული სკოლა - თავისი პოზიტიური გარემოთი, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სამოქალაქო საქმიანობებით - ადგილობრივი თემისთვის შექმნის მიმზიდველ სოციოკულტურულ სივრცეს.

ცვლილებები სასკოლო კურიკულუმში

ეროვნულ კურიკულუმის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული და კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავება თითოეული სკოლისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს, რამდენადაც სასკოლო კურიკულუმის შემუშავების კულტურა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში აქამდე თითქმის არ არსებობდა. სკოლებში სილაბუსებისა თუ თემატურ-კალენდარული გეგმების წარმოება უმთავრესად რუტინულ-ადმინისტრაციულ, ფორმალურ ხასიათს ატარებდა. შესაბამისად, გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, საკლასო ოთახებში მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარება მხოლოდ ფურცელზე რჩებოდა.

კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმი მოზარდებს შესთავაზებს წინარე ცოდნა-გამოცდილებასთან დაკავშირებულ ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და გამოიწვევს მათ უცნობის, ახლის აღმოსაჩენად; სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეებში გააძლიერებს ძიების ბუნებრივ წყურვილს და ბიძგს მისცემს სააზროვნო პროცესებს. გააზრებულ სწავლა-სწავლებაზე ორიენტირებული აქტიური პედაგოგიკა ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, გონებაში ცოდნის სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და, მეორე მხრივ,

კომპლექსური აზროვნების განვითარებას. შესაბამისად, მოსწავლეები ცოდნის შექმნასთან ერთად დაეუფლებიან კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარებს. კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება კი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კომპეტენციებს პირადი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის შესაქმნელად.

გააზრებული და აქტიური სწავლა-სწავლება ასევე გულისხმობს სწავლის პროცესზე ორიენტირებას - მოსწავლეები გააცნობიერებენ სწავლის პროცესში გამოყენებულ სტრატეგიებს და ისწავლიან მათ ეფექტიანად მართვას, ანუ ისწავლიან სწავლას, რომლის გარეშე წარმოდგენილია სწრაფად ცვალებად სამყაროში ადაპტირება და თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ინტეგრირება.

მიზნები და ამოცანები

ქვეპროგრამის მიზანია საქართველოს ყველა სკოლაში სასკოლო კულტურის განვითარება და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნების მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

ამოცანა 1: კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმის განვითარება და დანერგვა;

ამოცანა 2: სკოლის მართვის ეფექტიანი მიდგომების განვითარება;

ამოცანა 3: ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში;

ამოცანა 4: წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასების სისტემის შექმნა.

ამოცანა 1: კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმის განვითარება და დანერგვა

კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმის განვითარებისა და დანერგვის ხელშესაწყობად საქართველოს განათლების,

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შერჩეული ექსპერტები ქვეპროგრამის ფარგლებში მომზადებული რესურსების საფუძველზე პედაგოგებს დახმარებას გაუწევენ სასკოლო სასწავლო გეგმაზე მუშაობის პროცესში. მუშაობის პროცესი ქოუჩინგის (coaching) სახით განხორციელდება. ქვეპროგრამის ფარგლებში მომზადდა შემდეგი დოკუმენტები:

1. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური გზამკვლევი „კურიკულუმი - პედაგოგიკური პრაქტიკის სრულყოფის საშუალება“;
2. საგნობრივი გზამკვლევები I-IV კლასების სასკოლო კურიკულუმების განსავითარებლად;

სწავლა-სწავლების პროცესში დრო დაეთმობა ყოველდღიურ შეხვედრებს, რომლებზეც პედაგოგები, ერთობლივად დაგეგმავენ კურიკულუმს და სხვადასხვა საგნის სასწავლო თემებს სხვადასხვა ასპექტით დაუკავშირებენ ერთმანეთს. ამასთან, ექსპერტები სისტემატურად დაესწრებიან გაკვეთილებს და პედაგოგებთან ერთად იმსჯელებენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებზე.

გუნდურად შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა იქნება ორიგინალური, უშუალოდ ამ სკოლის მოსწავლეების განვითარების გზის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ფორმალური (საგაკვეთილო) და არაფორმალური (კლასგარეშე) კომპონენტების გამოყენებით თითოეულ მოსწავლეს შესთავაზებს ეროვნული კურიკულუმის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ მრავალფეროვან საგანმანათლებლო გამოცდილებას.

შედეგად, მასწავლებლები:

1. გაიაზრებენ კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპებს და მათი სასწავლო პროცესში რეალიზების გზებს;
2. შექმნიან ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ და მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგებულ სასკოლო კურიკულუმს;
3. პრაქტიკაში განახორციელებენ მყარი და დინამიკური ცოდნის მკონსტრუირებელ და კომპლექსური აზროვნების განმავითარებელ სასწავლო პროგრამას.

ამოცანა 2: სკოლის მართვის ეფექტიანი მიდგომების განვითარება

ქვეპროგრამის ფარგლებში დაიგეგმება სკოლის დირექციის/ადმინისტრაციის მხარდამჭერი ინტერვენციები, რაც მათ პოზიტიური, მოსწავლის ინტერესებზე მორგებული, სიახლეებზე და განვითარებაზე ორიენტირებული, თანამშრომლობითი, სასწავლო გარემოს შექმნაში დაეხმარება. მიზნის მისაღწევად, განხორციელდება შემდეგი ინტერვენციები:

1. ხარისხის მართვის მექანიზმების სისტემის დანერგვა

სკოლის დირექტორი, სასკოლო საზოგადოებასთან ერთად, შეიმუშავებს სასწავლო პროცესისთვის ხარისხის მართვის მექანიზმებს (თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მექანიზმებს; აწარმოებს საჭიროებების კვლევას), გეგმავს შესაბამის აქტივობებს. სკოლის ძლიერ მხარეებს აქცევს მის შესაძლებლობებად და მატერიალურ რესურსებს იყენებს ეფექტიანად.

სკოლას ექნება ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ხარისხის მართვის მექანიზმები.

2. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სკოლის ბაზაზე და ასევე მის მიღმა

სკოლის დირექტორი მხარს დაუჭერს მასწავლებელთა და სკოლის დირექციის/ადმინისტრაციის პროფესიული განვითარების მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას. სკოლაში ხელს შეუწყობს სკოლის ბაზაზე ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებასა და გამოცდილების გაზიარებას. ასევე, ხელს უწყობს და ახალისებს მასწავლებლების გარე სასკოლო, მიზნობრივ პროფესიულ განვითარების აქტივობებში ჩართულობას.

3. პოზიტიური სასკოლო და საკლასო გარემოს შექმნა

სკოლის დირექტორი ხელს შეუწყობს პოზიტიური სასკოლო და საკლასო გარემოს შექმნას. უზრუნველყოფს აქტივობების დაგეგმვას, რომელიც შესაძლებელია გახდეს სასკოლო კულტურის ნაწილი და შექმნის სასკოლო საზოგადოებისთვის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთთანამშრომლობის განცდას.

4. სასკოლო საზოგადოებასთან და სასკოლო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობით ურთიერთობაზე დამყარებული სასკოლო კულტურის განვითარება

სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სასწავლო პროცესში, შეიმუშავებს მექანიზმებს მშობელთა სასწავლო პროცესში მეტი ჩართულობის მიზნით. სკოლაში დაიგეგმება აქტივობები, რომელიც:

-) უზრუნველყოფს მშობელთა მეტ ინტერესს სასკოლო ცხოვრებისადმი და გაზრდილ პასუხისმგებლობის განცდას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში;
-) უზრუნველყოფს გარე სასკოლო აქტივობების ინიცირებას, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობას.

შედეგად სკოლის ადმინისტრაცია გახდება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების ხელშემწყობი და ამისათვის შეიმუშავებს სკოლის შეფასების მექანიზმს, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებას, გამოკვეთს სტრატეგიულ მიმართულებებს; შეიმუშავებს საკუთარი სკოლის განვითარების გეგმის შემუშავებას, მოახდენს გეგმის შესრულების მონიტორინგს და ა.შ..

ამოცანა 3: ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში

ქვეპროგრამის ფარგლებში ციფრული ტექნოლოგიები მიიჩნევა ინსტრუმენტად, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს. ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა შემდეგი ორი ძირითადი მიმართულებით იგეგმება:

1. მასწავლებლების სამუშაო პროცესში (სასწავლო პროცესის დაგეგმვა, კოლეგებთან კომუნიკაცია) ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია;
2. სწავლა-სწავლების პროცესში ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოყენებული იქნება Microsoft-ის საგანმანათლებლო სფეროსათვის შექმნილი პროგრამული პროდუქტები (Office 365 Education). Microsoft-ის ეს პროდუქტები საშუალებას მისცემს მასწავლებლებს, თავად შექმნან ელექტრონული სასწავლო რესურსები, გაუზიარონ ისინი კოლეგებს; სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებ მასწავლებლებთან ერთად დისტანციურად იმუშაონ ერთობლივ პროექტებზე; შექმნან საინფორმაციო არხები და ეფექტიანად მართონ ისინი (OneNote, SharePoint, Teams, Calendar).

მოსწავლეები ისწავლიან ციფრული ინსტრუმენტების (საძიებო სისტემების, Microsoft-ის ღრუბლოვანი სერვისების) გამოყენებას ცოდნის შექმნის, ინფორმაციის შენახვისა და გაცვლის მიზნით. დამატებით, ისინი დაეუფლებიან ისეთი რესურსების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას, როგორებიცაა Minecraft Education Edition და Scratch. ეს ხელს შეუწყობს როგორც ციფრული კომპეტენციების, ასევე ალგორითმული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

აღნიშნული პროცესების ხელშეწყობის მიზნით დამატებით იგეგმება შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ⌋ ელექტრონული ჟურნალის განვითარება, რომელიც, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესის ადმინისტრირებას შეუწყობს ხელს, მეორე მხრივ, გაამარტივებს კომუნიკაციას სასკოლო თემის წევრებს (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია) შორის;
- ⌋ სკოლისთვის ლეპტოპებისა და პროექტორების გადაცემა;
- ⌋ სკოლების WiFi-ით უზრუნველყოფა;
- ⌋ სკოლაში არსებული კომპიუტერული კლასების ინვენტარიზაცია და განახლება საჭიროებისამებრ;
- ⌋ პირველკლასელთა ნეტბუკების სპეციფიკაციის მოდიფიცირება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების გამართული მუშაობისთვის;
- ⌋ საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების განვითარება.

საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების განვითარება

2010 წლიდან საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელს ურიგდება პერსონალური კომპიუტერი (ნეტბუქი). ასევე სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიები აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით, რომლის საჭიროებისამებრ განახლებაც იგეგმება ქვეპროგრამის ფარგლებში. ასევე, იგეგმება სკოლების ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვა. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, სწავლა-სწავლების პროცესის ტექნოლოგიების სრულყოფილად დანერგვისთვის საჭიროა დამხმარე (მათ შორის ქართულენოვანი) ელექტრონული რესურსების არსებობა.

შესაბამისად, არსებული სურათის გასაუმჯობესებლად იგეგმება ადგილობრივი რესურსების განვითარება (მსგავსი უკვე განვითარებული რესურსებია „ვსწავლობთ თამაშით“¹ და <http://el.ge/>²) და ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით სხვადასხვა პროექტის განხორციელება.

ამოცანა 4. წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობი შეფასების სისტემის შექმნა

სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის მხარდაჭერისა და მოსწავლეთა წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემუშავდება სასკოლო შეფასების დიზაინი, რომელიც გულისხმობს კვლევის განხორციელებას ორი მიმართულებით:

- 1) სასკოლო კულტურის შესწავლა;
- 2) მოსწავლეთა მიღწევების დინამიკისა და პროგრესის შესწავლა.

სასკოლო კულტურის შესწავლა

სასკოლო კულტურის შესწავლა გულისხმობს სკოლაში არსებული ღირებულებების, რწმენის, შეხედულებებისა და წარმოდგენების შეფასებას იმის შესახებ, თუ რა არის მნიშვნელოვანი სკოლის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. ის მოიცავს როგორც სასკოლო კლიმატს, ასევე სწავლა-სწავლების კონცეფციას და წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობს ბავშვი.

სასკოლო კულტურის კვლევა განხორციელდება თვისებრივი მეთოდების საშუალებით (ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებთან).

კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდება სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა.

¹ UNICEF-თან თანამშრომლობით განვითარებული ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს სასკოლო საგნებისთვის ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა სთავაზობს დავალებათა ბანკს, რომლების შესრულებითაც მოსწავლეებს საკუთარი ცოდნის გამოვლენა შეუძლიათ.

² საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერით შეიქმნა ვებპორტალი EL.GE, სადაც თავს იყრის სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო და შემეცნებითი რესურსები: ელექტრონული წიგნები, ვიდეო და ფოტო მასალა, ნოტები და სხვადასხვა სახის გრაფიკული გამოსახულებები.

მოსწავლეთა მიღწევების დინამიკისა და პროგრესის შესწავლა

მოსწავლეთა ცოდნის შეფასება გულისხმობს მოსწავლეთა აკადემიური წინსვლისა და საჭიროებების გაზომვას მხარდაჭერისა და მიზანმიმართული ინტერვენციების დაგეგმვის მიზნით. შეფასდება IV და VI კლასების ყველა მოსწავლე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო საგანში. მოსწავლის სადიაგნოსტიკო ტესტები აგებული იქნება კომპლექსური დავალებებით და ტესტის სპეციფიკაციის ჩარჩო დაეფუძნება ზოგადი განათლების საფეხურების მკვიდრ წარმოდგენებს, რომლებიც გამომდინარეობს საფეხურის შედეგებიდან. სკოლის სადიაგნოსტიკო შეფასებას ექნება ყოველწლიური სახე და შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდება სკოლის აკადემიური პროფილი (ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გამოვლენის მიზნით) და გაიზომება მისი წინსვლა.

მართვა და განხორციელება

ქვეპროგრამის მმართველი და განმახორციელებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი.

ქვეპროგრამის განხორციელებაში ასევე ჩართული არიან სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, სსიპ საინფორმაციო მართვის სისტემა, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რესურსცენტრები და სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები.

ინტერვენციები 2019 წლის გაზაფხულიდან ეტაპობრივად განხორციელდება ზოგადი განათლების დაწყებით (I-IV კლასები) საფეხურზე.

ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული საჯარო

სამართლის იურიდიული პირების (სსიპ-ების) თანამშრომლობით მომზადებული მხარდამჭერი ჯგუფები (თითოეული ჯგუფი შედგება ოთხი წევრისგან: სასკოლო კურიკულუმის განვითარების ექსპერტი, სასკოლო კურიკულუმის განვითარების ექსპერტის თანაშემწე, საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი და ტექნოლოგიების ექსპერტები). თითოეული სკოლისთვის მომზადდება 1 ჯგუფი და სემესტრის/წლის განმავლობაში უწყვეტად იმუშავენ ამ სკოლაში. სემესტრის/წლის დასრულების შემდგომ, ჯგუფი სრული დატვირთვით გადაინაცვლებს სხვა ახლომდებარე სკოლაში, ხოლო წინა სკოლაში დისტანციურად ან პირისპირ განაგრძობს კონსულტაციებს კვირაში ერთხელ ან ორჯერ, საჭიროებისამებრ.

რეფორმას წინ უძღვის პილოტირების პროცესი დაწყებით და საბაზო საფეხურებზე. პილოტირების პროცესს წარუძღვება სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის ექსპერტთა ჯგუფი. დანერგვის პროცესში ჩაერთვება სხვადასხვა მხარე, კერძოდ:

-)] სამიზნე სკოლებთან მუშაობენ სკოლის მხარდამჭერი ჯგუფები;
-)] სკოლებისა და მოსწავლეთა პროგრესის ყოველწლიურ შეფასებას, სამინისტროსთან თანამშრომლობით, განახორციელებს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
-)] სკოლების მხარდამჭერი ჯგუფების მომზადებას, განახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი (პროექტის მართვის გუნდი) სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდამჭერით;
-)] სკოლების ბაზაზე საგნობრივი ჯგუფების მიხედვით მასწავლებლების მომზადებას სამინისტროსთან თანამშრომლობით, განახორციელებს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
-)] სკოლებში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას სამინისტროსთან თანამშრომლობით წარუძღვებიან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, სსიპ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო და Microsoft Georgia.

მონიტორინგის სისტემა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების მონიტორინგი განხორციელდება (ა) მხარდამჭერი ჯგუფის წევრების მიერ რეფლექსიის დღიურის წარმოებით და (ბ) სკოლების მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან ინტერვიუების საშუალებით.

რეფლექსიის დღიური იქნება მოქნილი ინსტრუმენტი მხარდამჭერი ჯგუფის ექსპერტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასებისთვის. ექსპერტები აღნიშნულ დღიურში შეიტანენ ინფორმაციას და ლაკონურად უპასუხებენ ისეთ კითხვებს როგორცაა - დღის მიგნება, წამოჭრილი პრობლემა და საჭიროების შემთხვევაში შეავსებს კომენტარის გრაფას. დღიურის ინფორმაცია გაანალიზდება სემესტრის განმავლობაში ორჯერ. დამატებით, საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტის მოთხოვნის საფუძველზე.

სკოლების მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ჩატარდება სემესტრის განმავლობაში ორჯერ მიმდინარე პროცესების შეფასების მიზნით. ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე ექსპერტებთან ერთად გადაისინჯება მიმდინარე აქტივობები.

ამის გარდა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამის განმახორციელებელი გუნდი განახორციელებენ სკოლებში ვიზიტებს პროცესების მონიტორინგის მიზნით.

მოსალოდნელი შედეგები

2019 წელს პროგრამაში ჩართულ სკოლებში შემუშავებული იქნება:

- ა) თანამშრომლობაზე დაფუძნებული სკოლების ანგარიშვალდებულების სისტემა;
- ბ) სკოლის სტრატეგიულ გეგმაში ასახული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების მხარდამჭერი სისტემა;
- გ) მოსწავლეთა ინდივიდუალური პროგრესის შეფასების სისტემა: სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგების სასკოლო სასწავლო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმაში ასახვის მექანიზმი;

- დ) სასკოლო თემთან ურთიერთობისა და უკუკავშირის პოზიტიური ღია და გამჭვირვალე სისტემა ასახული სკოლის სტრატეგიულ გეგმაში;
- ე) ინდივიდუალური სასკოლო სასწავლო გეგმა და მისი განვითარების მექანიზმი, მათ შორის ელექტრონულ ფორმატში;
- ვ) საგანმანათლებლო ადგილობრივი და საერთაშორისო ელექტრონული რესურსების პლატფორმა;
- ზ) ელ. ჟურნალის საშუალებით განმავითარებელი შეფასების რელევანტურად განხორციელების სისტემა;
- თ) სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობის ელექტრონული პლატფორმა OneNote-ის სახით;
- ი) ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირების მხარდაჭერისა და უნიციერების სისტემა;
- კ) სკოლების ციფრული მოწიფულობის შეფასების სისტემა.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 2019 წლის იანვარი-დეკემბერი

აქტივობის დასახელება	ჯამური ბიუჯეტი ლარში
ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება და ადმინისტრაციული ხარჯი	330,325.00
ციფრული ტექნიკის შესყიდვა, WiFi-ის მონტაჟი, ელ. რესურსების განვითარება	14,881,100.00
მოსწავლეთა მიღწევების დინამიკისა და პროგრესის შემსწავლელი ტესტის შექმნა და ადმინისტრირება	168,140.00
მხარდამჭერი ჯგუფების წევრების ტრენინგი	396,185.00
მხარდამჭერი ჯგუფების წევრების შრომის ანაზღაურება	3,578,250.00
ჯამი:	19,354,000,00